


საქართველოს



ხათვაბათი, 7 აპრილი, 2005 წელი

№80

რესეზუაცია



გრიგოლ გიორგაძე

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 77 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მველი ისტორიის განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე.

მის სახელს ქართული ხეთოლოგიური სკოლის მსოფლიო აღიარება უკავშირდება. წამყვანი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, კულტუროლოგების ერთსულოვანი თვალსაზრისით, გრიგოლ გიორგაძის ფუნდამენტური მონოგრაფია „ხეთების სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 1973, რომელიც უნგრეთში გერმანულად ითარგმნა, ხეთოლოგიის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. ასევე წარმატებული აღმოჩნდა ხეთების საზოგადოებრივი წყობის საკითხებისადმი მიძღვნილი, 1991 წელს გამოქვენებული მისი მონოგრაფიაც. არაერთი სიახლე შეიტანა მან მველი ანატოლიის ეთნიკური, პოლიტიკური ისტორიის, კულტურის ისტორიისა თუ ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების კვლევაში, ხეთური სამართლის ძეგლების (ხეთური კანონები, იურიდიული და დიპლომატიური ხასიათის ხეთური ლურსმული დოკუ-

მენტები) ტექსტოლოგიურ ანალიზსა და ინტერპრეტაციაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის სამეცნიერო ნარკვევები ცენტრალურ ანატოლიაში ლითონების, კერძოდ, რკინისა და ვერცხლის, წარმოება-გამოყენების შესახებ, რომლებიც პირველწელითა მისთვის ჩვეულ სკრუპულოზურ კვლევას და მათ ახლებურ გააზრებას ეფუძნება. ფასდაუდებელია 1999-2000 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილები, სადაც ხეთური და ასურული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური კუთვნილების ურთულესი პრობლემა სრულიად ახლებურადად გადაწყვეტილი. ეს სტატიები, რომლებიც 2000 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, ხეთოლოგისა და ქართველოლოგის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი ამ სფეროში კვლევა-ძიებისათვის ახალი მიმართულების განმსაზღვრელია.

მნიშვნელოვანია ქართველოლოგის განვითარებაში შეტანილი მისი წვლილიც. აქაც მისი კვლევა-ძიების ინტერესებში საქართველოს ძველი ისტორიის საკითხთა ფართო წრეა წარმოდგენილი. ერთნაირი სიღრმითაა წარმოჩენილი ინდო-ევროპულ და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების, ქართული წარმართული პანთეონის („არმაზული ტრიადის“) თავისებურებებისა და ძველაღმოსავლურ ეთნოგულტურულ სამყაროსთან მისი კავშირულოიერობის, ქართულ-ძველაღმოსავლური ეთნოგრაფიული მიმიკის პრობლემატიკა. მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს არმაზში აღმოჩენილ არამეოგრაფიული მონოლინგვისა და ბილინგვის ანალიზთან დაკავშირებულმა შრომატევადმა სამუშაოებმაც.

დაბადების 75 წლისთავს აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე უძველესი აღმოსავლური ეთნოსებისა და ქართველთა წარმომავლობის პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილი წიგნით შეხვდა. მონოგრაფიამ ყველა ქართველი ისტორიკოსისთვის სანუკვარი ჯილდო აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია დაიმსახურა.

სამეცნიერო წრეებში მოპოვებულმა მაღალმა ავტორიტეტმა განაპირობა აკად. გრიგოლ გიორგაძის მონაწილეობა ისეთი სოლიდური სახელმძღვანელოების შექმნაში, როგორიცაა «История древнего мира», т.1, Москва, 1983. და «Источниковедение по истории древнего Востока», Москва, 1984, რომელთაგან პირველი 1991 წელს აშშ-ში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა.

განსვენებულ აკადემიკოსს ლომის წილი უკუთვნის საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისთვის გამიზნული სახელმძღვანელოების „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“ და „ძველი მსოფლიოს ხალხთა ისტორიის ქრესტომათიის“ მომზადებასა და გამოცემაში. მრავალი წლის მანძილზე იგი ნაყოფიერად უძღვებოდა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მიერ დაფუძნებულ, საყოველთაოდ ცნობილ, სამეცნიერო სერიას „კავკასიურ-ძველაღმოსავლური კრებული“.

გრიგოლ გიორგაძის შემოქმედების აღიარების მანიშნებელია არა მხელოდ საქართველოს, არამედ რუსეთის, აშშ, ინგლისის, გერმანიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო კრებულებში და უურნალებში ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომები. გრიგოლ გიორგაძე აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა ისეთი სოლიდური გამოცემის სარედაქციო კოლეგიებში, როგორიცაა «Вестник древней истории», «Переднеазиатский Сборник»

(მოსკოვი), Orientalia (რომი), არჩეული იყო ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მრჩეველთა საბჭოს წევრად.

ბატონი გრიგოლი სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობდა მეცნიერთა რესპუბლიკური და საერთაშორისო ფორუმების (თბილისი, მოსკოვი, ლენინგრადი – სანქტ-პეტერბურგი, ერევანი, ბუდაპეშტი, ბერლინი, ლაიფციგი, პრაღა, ედინბურგი, ვენა) მუშაობაში. მის მიერ წაკითხული მოხსენებები, როგორც წესი, გამოირჩეოდა პრობლემის დასმის სიახლით, მდიდარი ფაქტობრივი მასალის სიღრმისეული ანალიზით, დასკვნების დამაჯერებლობით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დიდი დამსახურება ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნების (ხეთოლოგების, ხურიტოლოგების, ასირიოლოგების) აღზრდის საქმეში.

აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე წლების მანძილზე იყო მის მიერვე დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე, სადისერტაციო საბჭოების წევრი, მისაბაძი მეცნიერ ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ექსპერტი, ოპონენტი, კეთილმოსურნე, პრინციპული, მაღალი მეცნიერული და ზნეობრივი დირებულებების მატარებელი და პირუთვნელი დამცველი.

აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის ნალვაწი მარად დარჩება არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ისტორიოგრაფიულ საგანძურში.

თამაზ გამყრელიძე, გიული ალახიანია, ანდრია აფაქიძე,
ერეკლე ახტახიშვილი, ლევან გორდეზიანი, გურამ თევზაძე,
ფრიდონ თოდუა, მერი იხაძე, მარიამ ლორთქიშვანიძე,
დავით ლორთქიშვანიძე, რუსულან ლორთქიშვანიძე, ნანა ხაზარაძე,
დავით მუხრანიშვილი, შოთა ნადირა შვილი, ოთარ ნათი შვილი,
რუსულან რცხილაძე, ირინა ტატიშვილი, გურამ ხარატიშვილი,
მანანა ხიდაშვილი, ოთარ ჯაფარიძე